ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 22

ქ.თბილისი **„ 30„ „ იანვარი “ , 2019 წელი**

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** ს/კ 243123455 (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სპარტაკ ბუკიას** და მეორეს მხრივ ინდ/მეწარმე ირაკლი შიუკაშვილი ს/კ 57001011968 (შემდგომში _ მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით სხვადასხვა სახის მასალების შესყიდვა ხელშკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 79,50 (სამოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი. მათ შორის -

ა) CPV3120000 ღირებულებაა -7,50(შვიდი ლარი და 50 თეთრი);
ბ) CPV3130000 ღირებულებაა 6,50(ექვსი ლარი და 50 თეთრი);
გ) CPV3160000 ღირებულებაა -3,00(სამი) ლარი’
დ) CPV44100000 ღირებულებაა -24,50 (ორმოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი);
ე) CPV44400000 ღირებულებაა -22,00 (ოცდაორი ლარი);
ვ) CPV 24951120 ღირებულებაა -14,00 (თოთხმეტი) ლარი;
ზ) CPV44500000 ღირებულებაა - 2,00 (ორი) ლარი.

2.1.1 შესყიდვის ობიექტის კონკრეტული ჩამონათვალი,შესაბამისი კოდები და ერთეულის ღირებულებები განისაზღვრება ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების გარდა) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მოწოდება მოხდება ერთიანად ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4,4. მიწოდების ადგილია **დაბა სურამი, რუსიას ქუჩა 12.**

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

<u>მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია (სასქონლო ზედნადები და დღგ-ს გადამხდელად არსებობის შემთხვევაში ანგარიშ ფაქტურა).</u>წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი**ს“ სურამის კლინიკის სპეციალისტი ნინო ცუიცქირიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ერთიანად მიწოდებული საქონლის ღირბულების შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო

დღისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2019 წლის 30 მარტის ჩათვლით.**

9.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

9,2,1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“.

9.2.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ გაწევა სრულად ან დადგენილ ვადებში.

9.2.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.2.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

9.2.5. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

9.2.6 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.2.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. შესყიდვის ობიექტის კონკრეტული ჩამონათვალი და ერთეულის ღირებულებები.

№	დასახელება	CPV კოდი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
2	დრეკადი მილი ზომით 60სმ 1/2F*1/2 მეტალის R-50	44163100	ცალი	3,00	3,5	10,50
3	NS-53 დრეკადი მილი 60სმ 1/2xTC მეტალის	44163100	ცალი	2,00	3,50	7,00
4	სილიკონი ANTIA 280ML გამჭვირვალე	24951120	ცალი	2,00	7,00	14,00
5	უნიტახის გოფრე	44163100	ცალი	1,00	7,00	7,00
6	ონკანი ST001	44411100	ცალი	1,00	20,00	20,00
7	ხელსაბანის სამაგრი	44523200	ცალი	1,00	2,00	2,00
8	როზეტი 1-ნი თეთრი	31310000	ცალი	1,00	3,50	3,50
9	გადამრთველი 1-ნი თეთრი	3122400	ცალი	1,00	3,50	3,50
10	გადამრთველი 2-ნი თეთრი	3122400	ცალი	1,00	4,00	4,00
11	ჩარჩო 2-ნი თეთრი	31310000	ცალი	1,00	3,00	3,00
12	იზოლაცია	31651000	ცალი	2,00	1,50	3,00
13	პაკლი დიდი	44411000	ცალი	1,00	2,00	2,00
14					**სულ**	**79,50**

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

შპს "აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" ს/კ243123455

იურ. მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 14ბ

ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE02BG0000000267299600;

დირექტორი

__ _____

ს. ბუკია

მიმწოდებელი

ინდ/მეწარმე ირაკლი შიუკაშვილი
ს/კ 57001011968

ხაშური იმერეთის 26

574 75 03 90

ს.ს. თიბისი ბანკი ბანკი
ა/ანგარიში:
GE41TB7823645068100001

ინდ/მეწარმე

_____

ი. შიუკაშვილი

ᵓშკრულება დამმოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით და/ან კვალიფიციური შტამ

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა სურამი „ 30“ იანვარი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“** დირექტორი **სპარტაკ ბუკია და სურამის კლინიკის** მნე სპეციალისტი ნინო ცუცქირიძე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების #22 30/01/2019 მიმწოდებელთან ინდ/მეწარმე ირაკლი შიუკაშვილთან

დირექტორი:
სპარტაკ ბუკია _____

სურამის კლინიკის მნე სპეციალისტი
ნინო ცუცქირიძე _____

მიღება - ჩაბარების

აქტი 22

ქ. თბილისი „ 30 „ იანვარი “ 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ს/კ243123455, (შემდგომში “ შემსყიდველი“) წარმოდგენილი სურამის კლინიკის მნე სპეციალისტი ნინო ცუცქირიძეს სახით და მეორეს მხრივ ინდ/მეწარმე ირაკლი შიუკაშვილი ს/კ 57001011968 (შემდგომში „მიმწოდებელი“),სახით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების (#22, 30/01/2019) პირობების თანახმად, "მიმწოდებელმა" "შემსყიდველს" მიაწოდა საქონელი ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციფიკაციის შესაბამისად.

1	დრეკადი მილი ზომით 60სმ 1/2F*1/2 მეტალის R-50	ცალი	3.00	3.5	10.50
2	NS-53 დრეკადი მილი 60სმ 1/2xTC მეტალის	ცალი	2.00	3.50	7.00
3	სილიკონი ANTIA 280ML გამჭვირვალე	ცალი	2.00	7.00	14.00
4	უნიტაზის გოფრე	ცალი	1.00	7.00	7.00
5	ონკანი ST001	ცალი	1.00	20.00	20.00
6	ხელსაბანის სამაგრი	ცალი	1.00	2.00	2.00
7	როზეტი 1-ნი თეთრი	ცალი	1.00	3.50	3.50
8	გადამრთველი 1-ნი თეთრი	ცალი	1.00	3.50	3.50
9	გადამრთველი 2-ნი თეთრი	ცალი	1.00	4.00	4.00
10	ჩარჩო 2-ნი თეთრი	ცალი	1.00	3.00	3.00
11	იზოლაცია	ცალი	2.00	1.50	3.00
12	პაკლი დიდი	ცალი	1.00	2.00	2.00

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 79,50 (სამოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 79,50 (სამოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ რასაც ადასტურებენ წინამდებარე აქტზე ხელმოწერით.

საქონელი მიიღო	საქონელი ჩააბარა
სურამის კლინიკის მნე სპეციალისტი ნ. ცუცქირიძე	ინდ/მეწარმე ირაკლი შიუკაშვილი

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD

Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.01.30 13:13:15 +04'00'